ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 03

ქ. ონი 12. 03. 2024 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მამუკა ყავლაშვილი.

სხდომას კომისიის 12 წევრიდან ესწრებოდა 9 წევრი: მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, გივი მეტრეველი, როსტომ ლობჯანიძე, ეკა მაისურაძე, ნინო გობეჯიშვილი, ბიძინა ყიფიანი, მერაბ ბიჭაშვილი, რევაზ საბანაძე.

არ ესწრებოდნენ: ზურაბ ბენდიანიშვილი, ნონა მაისურაძე, გელა მეტრეველი.

სხდომას ესწრებოდა აგრეთვე, მერიის სივრცითი დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გივი ბენდიანიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2023 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

2.ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2023 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობის შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია 2023 წელს მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ :

-გზების კაპიტალური შეკეთების გეგმა შეადგენდა 4 810,5 ათ. ლარს, ფაქტი-3 594, 8 ათ. ლარი (75%)

-გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 401,6 ათ. ლარი, ფაქტი-291,4 ათ. ლარი (73%)

-საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების გეგმა-9,0 ათ. ლარი, ფაქტი-7,9 ათ. ლარი (88%)

-წყლის სისტემის რეაბილიტაციის გეგმა 374,4ათ. ლარი, ფაქტი-349,5 ათ. ლარი (83%)

-ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის დაფინანსება 150,0 ათ. ლარი, ფაქტი-128,4 ათ. ლარი (86%)

გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 80,0 ათ. ლარი, ფაქტი-80,0 ათ. ლარი (100%)

-საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია-გეგმა-427,3 ათ. ლარი, ფაქტი-29,4 ათ. ლარი (7%)

-მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია, გეგმა-1 731,9 ათ. ლარი, ფაქტი-1 333, 9 ათ. ლარი (77%)

-საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია ექსპლუატაციის გეგმა-3 202, 0 ათ. ლარი, ფაქტი-2 387,5 ათ. ლარი (75%)

-საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა-747,8 ათ. ლარი, ფაქტი-612,0 ლარი (82%)

-სოფლის მხარდაჭერის პროგრამის გეგმა 758,0 ათ ლარი, ფაქტი-753,1 ათ. ლარი (99%)

-სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, გეგმა-3 166,8 ათ. ლარი, ფაქტი-2 516, 5 ათ ლარი (79%)

-მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების გეგმა -561,0 ათ ლარი, ფაქტი- 542,5 ათ ლარი (94%)

-ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გაწეული ხარჯების გეგმა 379,2 ათ. ლარი, ფაქტი-296,7ათ. ლარი (78%)

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

/მომხსენებელი: მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა, რომელიც სოფლის მოსახლეობის მიერ იქნა შერჩეული და აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით დაწყებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება და დაიწყება შესაბამისი სამუშაოები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2023 წ. 21 ნოემბერს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განხილვა.

2. ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტისა და 2024-2027 პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ

3.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

4. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საინფორმაციო სისტემის ქსელის მდგომარეობის შესახებ.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ კომისიის სხდომაზე იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, შემდეგ საკითხებზე-1.ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განხილვა, 2. ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტისა და 2024-2027 პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ-გამოთქმული შენიშვნები გადაეგზავნოს საკრებულოს თავმჯდომარეს შემდგომი რეაგირებისათვის, ხოლო საკითხები -3.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ. 4. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. 5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საინფორმაციო სისტემის ქსელის მდგომარეობის შესახებ, შტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები გადაეგზავნოს საკრებულოს თავმჯდომარეს შემდგომი რეაგირებისათვის.

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე